ხელშეკრულება№134
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თელავი 30 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.ჰ.თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „თელავის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო", წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბობღიაშვილის (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ს.ს.ი.ჰ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული პირობების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დამატებითი ანაზღაურების გარეშე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება.

1.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების შესაბამისად;

1.3 დაფინანსების წყარო - 2016 წლის საკუთარი შემოსავლები.

1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1 თელავი ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდი დარბაზის გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

2.2 თელავი ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საგრიმიოროებში კარ-ფანჯრების შეცვლის და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

2.3 თელავი ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფასადის განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1960 (ათასცხრაასსამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თელავი, ერეკლე მეორის მოედანი 7.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დრის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიდება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსახთვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 01 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხერლშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილიბრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძერა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელსეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამოსად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის

პროფესიული სახელმწიფო დრამატული თატრი

ერეკლე II მოედანი 7

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

ს/კოდი: 231169641
ტელ:597 74 75 07

სამხატვრო ხელმძღვანელი

პ.გულიაშვილი ____________

მიმწოდებელი:

შპს „თელავის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო“
ს.კ. 231169696
მის: ქ. თელავი, ქეთევან წამებულის 3ა

ბანკი: სს „ტერა ბანკი“

კოდი: TERAGE22

GE78KS 0000004000468175
ტელ: 598 197979

დირექტორი

გ. ბობღიაშვილი ____________